კონცეფცია. მითუმეტეს იუ ვავითვალისწინებთ, რომ მსახიობები მართლაც იწერებოდნენ მხატვრის მიერ შექმნილ „ყურწერულ სურათში“ და მათი მთავარი კულმინაციური მიზანსცენები იქცეოდა მათი კომპოზიციების ცენტრად. ხოლო რამოდენიმე წლის შემდეგ პრადის კვადრინალზე 87, როდესაც მონჯიკმა წარმოადგინა ჩეხოვის ამ პიესის სცენოგრაფიული წაკითხვა საექსპოზიციო გარემოში, ის გადაიქცა შავ გვირაბად, რომელშიც მოხვედრილი მაყურებელიც თითქოსდა იძირებოდა რა გვირის შინაგან სულიერ სამყაროში, ასევე სთავაზობდნენ მის კვალდაკვალ გაეარა უკანასკნელი გზა – გვირაბის ბოლოს მათ უცქერდა უკვე გარდაცვლილი სარას იერი ქარის მიერ აყრიალებული ნაწნაუებით. ვარშაის თეატრ სტუდიის მიერ ნაჩვენებ „კასანდრაში“, რეჟისორი კ. ბუკოვსკი, მონჯიკმა სცენა წყლით დაფარა. ასეთი გზით გადაწყვეტილი სცენიური სივრცე აღიქმებოდა, როგორც მისი „პლასტიური სუიტის“, „ტენის“ და განსაკუთრებით „კარიბჭეს“ გაგრძელება, სადაც როგორც ჩვენ გვესახება წარმოდგენილი იყო „დროის მდინარის“ სახე-გამოსახულება-ხატება, რომელშიაც ცვიოდნენ ადამიანები დაბადებისთანავე და რომელსაც ის სიკვდილისაკენ მიაქანებდათ. არსებითად, ასეთივე აზრი იყო ჩაქსოვილი ძველბერძნული სიუჟეტის პერსონაჟების წყალში ჩაძირვასთან – სასცენო სივრცის გარემომორცმულ შავ უსასრულობაში. ისინი თითქოსდა წყლიდან „ამოიბრლებოდნენ“ („წყლის უზარმაზარი ლილითი“ ადარებდა კრიტიკოსი ანა შილერი წყლით ავსებული პლანშეტის ზედაპირზე ქანდაკებასავით გაყინულ კლიტემნესტრას, რომელიც ამ მიზანსცენაში წარმოითქვამდა თავისი ტექსტის პირველ სიტყვებს). წყლით ირეცხავდნენ ჰუკუსაც და ცოდეებსაც, ახორციელებდნენ რა უკანასკნელ განბანვას. წყალში ჩნდებოდა, ფართხალებდა და კონველსიებში ძრწოდა კასანდრა. უინალში მას გაასვენებდა ხორონის ეგლი, რომლის შემდეგაც აკეტებოდა სიკვდილის კარიბჭე. ამ რიოლს ასრულებდა ანა ხოლაკოვსკა, და მისი ექსპრესიული არსებობა – ვერბალური დრამატული თეატრის კანონების მიხედვით – მონჯიკის მიერ მხატვრის თეატრის სტილში ინტეგრირებულ სამყაროში, მისთვის იმდენად ორგანული აღმოჩნდა, რომ სამი წლის შემდეგ მან სთხოვა სცენა პლასტიკნას შემქმნელს კიდევ ერთხელ ემუშავა მასთან. ამჯერად უკვე „ანტიგონზე“ ლუბლინის ოსტრევის სახელობის დრამატულ თეატრში, სადაც ახლა უკვე იგი არა მარტო მთავარი როლის შემსრულებელი იყო არამედ რეჟისორიც. მიიღო რა სრულად მონჯიკის საერთო კონცეფცია და სტილისტიკა (შემთხვევითი არ იყო, რომ აუიმაზე სცენოგრაფის გვარი პირველი

ეწერა). ხოდა, კოსკა ამაზე სრულიად შეგნებულად წავიდა, რათა მსახიობები და პირველ რიგში თავეად, წარმომდგარიყვნენ ამ წარმოდგენაში, როგორც „ფერწერული გილოს ელემენტები“. თავის მხრივ მონჯიკიც სრულიად ვაცნობიერებულად დაჰყვა ექსპერიმენტს აერთიანებდა რა სცენა პლასტიკისა ვიზუალურ ესაუბრაკას დრამატული თეატრის ვერბალურ სამსახიობო ხელოვნებასთან. მიუხედავად იმისა, რომ მრავალ კრიტიკოსს არაბუნებრივად მოეჩვენა ასეთი შერწყმა (სახასიათაო ერთეულის რეცენზიის დასახელება „ორი ანტიგონე“) და ვერ ვიტყვი, რომ ყველა მონაწილე აღუკვებური იყო მონჯიკის მიერ შემოთავაზებული გრაფიკის მასშტაბურობისა, მიუხედავად ამისა ეს იყო ერთეულის ყველაზე საინტერესო სექციაკლი, მაგალითი ორი, ერთი შეხედვის რთულად შერწყმადი სასცენო ხელოვნებათა ტიპის ლტოლვისა ერთმანეთისაკენ. წარმოდგენილი პოლონეთის წამყვანი მსახიობის სახით და არავერბალური მხატვრის თეატრის ერთეული ყველაზე თანამიმდევრული აღუკვებისა.

მონჯიკმა სიბნელეში ჩაძირა არა მხოლოდ სცენის, არამედ მაყურებელთა დარბაზის სივრცეც. პლანშეტი მოფენილი იყო მღვის კენჭებით. ქვიშითა და ქვებით, რაც დროდადრო ზემოდან ცვივოდა, წარმოქმნიდნენ რა ვრცელ რიგებს. ეს რიგები განსხვავებულ სიმაღლეზე ხან აიწყოდა (ვმირების წელამდე, მკერდამდე და ბოლოს კისრამდე). ხან დაიწყოდა; ხან კი ირწყოდა მარჯვნივ ან მარცხნივ, რომელიც ხან მიწას ხან კი მღვის ტალღებს მოჰყავდა მოძრაობაში. ყველაფერ ამის თავეზე კი გამოინათებული იყო, მოძრაი, მთოლვარი, „მსუნთქავი“, გამლადი. უცნობი არსებების ურთების მსგავსი, რაღაც უანგასტიკური ობიექტები. რაღაც მომენტებში მოგვაგონებდნენ ადამიანთა უიგურების გამოშიგნულ ვარსებს.

შემოქმედების სხვა სფერო, რომლითაც მონჯიკი დაკავებული სისტემატიერად, რომელთანაც იგი საკუთარი მხატვრის თეატრის კეთიბიდან მივიდა, წარმოადგენს აქციებისა და პერფორმანსების. ანუ „პლასტიკური ავანგარდის“ სფეროს. ამასთანავე მისი აქციები და პერფორმანსები უმეტესწილად იბადებოდა ჯერ კიდევ სპონტანურად – მის მიერ 1973 წლიდან მოყოლებული ყოველწლიურად სხედასხვა ქვეყანაში ჩატარებული თეატრალური მასტერკლასები, ახალგაზრდებისათვის და სტუდენტებისათვის თავისებური სახელოსნოს პროცესია. (ამით ისინი განსხვავდებოდა კანტორის პეფენინგებისაგან, რომელიც წარმოადგენდა, ოსტაგის პლასტიკურ ძიებათა განუყოფელ ნაწილს, რომელთაც უმრავლეს

შემთხვევაში ასრულებდა ან თაველ მხატვარი, ანდა „კრიკო-2“ მსახიობები). და თუკი სცენა ჯლასტიჩინას წარმოდგენები მონჯიკის ნების ერთპიროვნულ ქმნილებებს წარმოადგენენ, სახელოსნოებში მისი როლი „შემოიფარგლებოდა განთავისუფლებით... ემოციებისაგან და მათი გამოხატვისა ენაზე, რომლისაც მჯეროდა, გამოსახულების, სინათლის და სიბნელის ენაზე“. ამასთან ერთად მრავალი აქცია და პერფორმანსი ასე თუ ისე აღმოჩნდნენ იმ ნამუშევრებთან დაკავშირებული, რომელსაც მონჯიკი ახორციელებდა სცენაზე: ერთ შემთხვევაში ის ანვითარებდა უკვე შექმნილი სპექტაკლის მოტივებს, სხვა შემთხვევებში კი პირიქით ამზადებდა მათ, იმისთვის რასაც მომავალში უნდა ეპოვა ხორცშესხმა. ორივე შემთხვევის მაგალითები გუსტადაა დოკუმენტირებული კრებულში „უსიტყვო სიმართლის თეატრი“. ესენია ერთის მხრივ: აქციები, რომელნიც ასრულებდნენ მის სახელოსნოებს, რომლებიც შედგა 1973 წელს იუგოსლავიის ერთერთ კუნძულ პრეკოშე აღრიადიკის ბღვაში და შემოდგომაზე 1979 წელს შეყრსბერგში (გერმანიაში), მეორეს მხრივ ღამის პერფორმანსი, რომელიც აჩვენა ხუთი წლის შემდეგ ბოლესლავეცაში, პოლონეთში.

პრეკოში ჩამოვიდნენ სხედასხვა ეროვნების და პროფესიის ახალგაზრდები. მაშინ მონჯიკს, ქონდა რა ახალი დადგმული „ვახშამები“ პ. შუმანის გაულენის ქვეშ იმყოფებოდა და თითოეულ მონაწილეს შესთავაზა მოუფიქრებინა და შეეთხზა ნიღაბი, რათა ასეთი სახით „განეხორციელებინა თავისი კონცეფცია ღმერთისა, თავისი კონცეფცია აბსოლუტისა... გამოეხატა... დამოკიდებულება აბსოლუტისადმი: მუქარა, ხიფათი, სიყვარული და შიში – მხოლოდ ნიღბის საშუალებით“. ყველა თხზავდა და აკეთებდა თაბაშირის ნიღბებს სრულიად დამოუკიდებლად, მონჯიკის ყოველგვარი ჩარევის გარეშე. ნიღბის რაიმე მხატვრული ხარისხის მიღწევა ამოცანად არ იდგა – სახელოსნოს მონაწილეები ყველაზე განსხვავებული პროფესიების ადამიანები იყვნენ და ხშირ შემთხვევაში მრავალ მათგანს არც კი ქონია ჯლასტიკის შეგრძნება. მაგრამ თითოეულმა მათგანმა საშუალება მიიღო ეცადათ ასე თუ ისე „აბსოლუტისადმი თავისი დამოკიდებულება“ გამოეხატათ აქციის გზით საკუთარი ნიღბის საშუალებით, რომლის შესრულებაც მათ შესთავაზეს საერთო პერფორმანსის დროს. იგი შედგა ბოლო დღეს ეკლესიის შენობაში. ღვთის გაძრის შერჩევა, როგორც „გარემოსი“ ამ პერფორმანსისათვის ყველაფერს განსაკუთრებული საკრალურობა მესძინა. ისევე როგორც მშის ჩასულის დროის შერჩევა, მაშინ როდესაც დღე მიუახლოვდა თავის მწვერულს და ჩამავალი მშის უკანასკნელმა სხივებმა ფანტასტიკური სახით გაანათა ეკლესიის

სიერცე, თაღები და საკურ. ი ხვეული, როგორც მოქმედების მთავარი ადგილი, სადაც მონაწილე მათთვისაა მებადურის უნარმამარი ბადე, რომელზეც მონაწილეები აქ კის დასრულების შემდეგ ანთავსებდნენ თავიანთ ნიღბებს, თითქო აქა დასრულებდნენ მსხვერპლთშეწირვის რიტუალს, და ფინალში ბადე ნიღბებით აღმართებოდა საკურთხელის შემოთ. აქ იგი იყო ყველაზე მოუღონელი: ვიღაცა გრიპალით გარბოდა ისე რომ ბოლომდე ვერ ბედავდა თავის ნიღბთან განშორებას და მის დატოვებას საკურთხეველზე. ვიღაცა დამსობილი მუხლებზე, პირიქით მხნედ და ყოველგვარი შინაგანი ემოციური გამოვლინების გარეშე ღებდა ნიღბს, „როგორც ქვას“. ვიღაცა კი შემობრბოდა ფეხით და ნიღბით და იწყებდა ცეკვას საკურთხეველზე... და ამას იყო - იგონებდა მონაწილე - ნამდვილად სპონტანური რელიგიური ცეხა.

შეერსებრგში, სადაც სახე და მონოს მეცადინეობების ადგილი იყო კულტურის ცენტრის თანაბროვე შენობა, მონაწილე დასკვნით აქციისში გამოიყენა თავისი დადგმების „იკაროსის“ და „დალის“ ზოგიერთი მოტივები. სიერცე გაყოფილი იყო ორ მონად. ორივეზე დაყრდნობით იყო ხშირი ფენა შემოდგომის ფოთლებისა, მხოლოდ მარცხენა (სიკეთის მონა) - აყარად შეღებილი იყო კირით, მარჯვნივ კი (სიბოროტი მონა) - ბრინჯაოსა და შავი ფერის საღებავით. შუაგულში სავალი იდგა, მსგავსი იმისა, რომელიც ოდესღაც აღმართებოდა იკაროსის წინაშე - მისი თასები იხრებოდა ხან ერთ, ხან კი მეორე მხარეს. მონაწილეები, იმყოფებოდნენ რა საწინააღმდეგო მონებში, აქ ულებდნენ რა შესაბამისად სხვადასხვა აქციებს სიკეთისა და სიბოროტის თემებზე (თითოეული კვლავ თავისებურად, განსაკუთრებულ ინდივიდუალურად და სრულებით თავისუფლად მონაწილის რატიკონკრეტული მითითებებისაგან), ამის შედეგად მაყურებელს სთავაზობდნენ ორ სრულებით განსხვავებულ წარმოდგენას.

ღამის პერფორმანსი, ნაჩვენები, როგორც ოდღიანი მასტერკლასის შედეგი ბოლესლავეში მისი მონაწილეები - პოლონური სტუდენტური ასოციაციის ხალგაზრდა მსახიობები იყვნენ), მონაწილისთვის იქცა წინაშე. წარსაყველ მოტივად, რომელზე დაყრდნობითაც ორი წლია შემდეგ წარმოადგინა მაყურებლის სამსჯავროზე სცენა პლასტიკურად „ხეციალის“ სახით“. აქ მუშაობაც განსხვავებულად მიდიოდა. იქსთავაზა რა მონაწილეებს, როგორც ყოველთვის შესაძლებლობა „ემოციებისაგან განთავისუფლებისა“ (და თიხის ფიგურების ძეგლისას, მათი ცალკეული ნაწილების მოძრაობების შეთხზვისას, და თავამდის ინდივიდუალური ხერხების არჩევისას), მონაწილე ამჯერად შეიმუშავა პერფორმანსის მუსტი

სცენარი და გეგმა. მისი შესრულებისათვის ამოიჩინა მდინარის ნაპირი მაღალი ბალახით, რომელიც (ისევე როგორც წყალი) გადაიტყა გამოსახვის ერთერთი საშუალებად მისი მხატვრის თეატრის პალიტრაში. პერფორმანსი იმართებოდა სიბნელის დაღვომის შემდეგ.

დასაწყისში მაყურებელი ჯერ თვალს ადევნებდა გაქცეულ ადამიანთა სინათლის სხივებითა დევნის აქციას. ისინი ბალახებში იმალებოდნენ, ბალახიდანვე ამოიზრდებოდნენ თეთრი ფიგურა-მანეკენები. მდინარის მხრიდან მოძრაობდა მთქსეჯლი თეთრ ნიღაბში თეთრი ცხენით, ჭრიდა რა მინდორს შუაში ღრმა ხნულით. გარკვეული დროის შემდეგ, ხნულიდან ჩნდებოდნენ ადამიანები კომბინიზონებში და თეთრ ნიღაბებში. ნელა კვეთავენენ სინათლის წრეს და უჩინარდებოდნენ. შემდეგ კვლავ ჩნდებოდნენ, მუხლებზე დგებოდნენ ფიგურა-მანეკენების წინ, და მათ წინაშე თითოეული ასრულებდა თავის აქციას, გამოხატავდნენ რა ყველაზე განსვავებულ ემოციებს – სინაზიდან აგრესიამდე, ყვავილებით შემკობიდან მსხვერპლთმეწირვის რიტუალამდე, ყვავილების მდინარეში დახრილობით. ორი „ღვთისმსახური“ ხნულს ფარავდა თეთრი ხალიჩით – დასაკრძალი სუდარით. ფინალში კი, კრიტიკოს ბედნარეკ-მიხალსკოის მოწმობით „მაყურებელთა ფერხთით, იწყებოდა მიწის დამლა და საყლავებიდან დგება თეთრი ფიგურა ნაჭუჭში. იბრძვის, იგლეჯს ნაჭუჭს და რჩება შიშველი ადამიანი“.

„...ეს შიშველი, თეთრი ადამიანი – იგონებდა მონჯიკი ერთადერთი ცოცხალი ადამიანია ამ შაე მიწაში და ღამეში – მიდიოდა მდინარისაკენ. უჩინარდებოდა წყალში“. უკანასკნელი გმანება გახლდათ შუაგულ მდინარეში მანათობელი თეთრი ფიგურა-მანეკენის სილუეტი.

შემდგომი წლების პერფორმანსებიდან (რომელთა შესახებაც მონჯიკი მოგვითხრობდა წიგნში „ჩემი თეატრი“) გაუიხსენებთ „ღარებს“, როგორც კიდევ ერთი მაგალითს თავისებური პერფორმანსის სცენა პლასტიკინაზე უკვე განხორციელებული დაღვმების მოტივებისა. ამ შემთხვევაში – „კარიბჭე“. ძველი ინგლისური ლეგენდის სიუჟეტზე აგებული პერფორმანსი გასამამშების ადგილად იქცა მდინარის კალაპოტი (მაყურებელი განვთავსებული იყო საპირისპირო სანაპიროების დაქანებებზე). რაც სიმბოლოს წარმოადგენდა ისევე, როგორც „კარიბჭეში“ წარმოადგენის მონაწილეთა ცხოვრების დროის დინებისა.

ამასთანავე სახელოსნოებში გამოცდილ იქნა პლასტიკური მოტივებიც უშუალოდ დაკავშირებული მონჯიკის ამა თუ იმ სცენიურ დაღვმასთან, რაც დამახასიათებელი იყო მისი ვიზუალური

პოეტიკისათვის. მაგალითისათვის, მრავალჯერ ვარირებდა მოტივი ქალაქის საყარისა ანდა სხვადასხვა ქალაქის გარსების გახევე-გაგლეჯვისა ხელებით ანდა სხეულის სხვა ნაწილებით, რასა წარმომღვაროვნენ სხვადასხვა სიტუაციებში – მათი გაჯლით, მათიგან, მათში შემოსილი – სახით, თავეთ, გორსით, მთელი სხეულით. პერფომანსში „ბაბილონის რესპუბლიკად“ წოდებული მონჯიკმა თითოეულ მონაწილეს შესთავაზა (ასევე თითოეულ მაყურებელს) განთავსებულყვენ ცალკეულ დახურულ, შემოღობილ ადგილას, შემდეგ კი განხორციელებინათ სხვადასხვა შემოღობვის გადაღახუ-დანგრევის აქცია, რის შედეგადაც ფინალში „დამოუკიდებელი შემოღობილი ადგილები გრანსფორმირდნენ ამ მსოფლიოს ერთ დიდ საერთო საცხოვრებელ სივრცედ“. ხოლო ამსტერდამის სახეითი ხელოვნების აკადემიის სტუდენტების სახელოსნო გადაიქცა თავისებურ „თერაპიად“-მონჯიკის მიერ შემოთავაზებული აქციები მიმართული იყო – სულიერი განწყენის გზით – თითოეული მონაწილის მიერ თავის „მეხსიერების ოთახში“ კომპლექსების გადაღახვამე, რაც ჩამოყალიბდა ცხოვრების უარყოფითი გამოცდილების ჩამოყალიბების შედეგად. ასე მაგალითად „ქალთა მეხსიერების ოთახებში“, - ყვებოდა ამ სახელოსნოს შესახებ მხატვარი, – იქმნებოდა სიტუაციები, რაც ეროტიკითან იყო დაკავშირებული. ერთერთი ქალიშვილი სექსისადმი სიძულვილს გრძნობდა. მაშინ როდესაც ის იყო შეიდი წლის, იგი შეესწრო, მისი თვალსაზრისით მშობლებს შორის უიღბლო სექსუალურ აქტს. ეს მას დაამახსოვრდა მთელი ცხოვრების მანძილზე. სახელოსნოს დროს სახამებლის მასით შეესებულ დიდ ამოჭრილ სივრცეში, იგი ერკინებოდა მამაკაცს. ფინალში სახამებლის მასამ დაიწყო ჩამოღვენთვა და ისინი შიშველნი აღმოჩნდნენ მაყურებლის წინაშე“. ერთერთი სახელოსნოს დროს შეერსბერგში მონჯიკმა მაყურებელს შესთავაზა შესულიყვენ „მეხსიერების ოთახებში“ ბაგირზე ხელჩაკიდებულნი, გაივლიდნენ რა მთელს შენობას. ფინეთის ქალაქ ვასაში, სადაც მონჯიკი ასევე რეგულარულად აგარებდა სახელოსნოებს, მან ჩასვა მონაწილეები ავტობუსში შელებილი ყანჯრებით. როდესაც ავტობუსი განერდა, ყველა გადმოვიდა და აღმოჩნდნენ ეკლესიის ნანგრევებში, რომელთა შორის ამჯერად განთავსებული იყო მათი ინდივიდუალური „მეხსიერების ოთახები“. საბოლოოდ იმავე ვასაში შედგა აქცია – მონაწილეები უმარმამარი თყური და ყვეითული გილოთი ყუთავდნენ ძველი ცისენიზავრის კოშკს. ანალოგიური აქცია მონჯიკმა გაიმეორა მოყვარულთა საერთაშორისო ფესტივალის „თეატრალური კონფრონტაცია-96“ დროს, შეყუთა რა ორი დღით ფოსტის მთავარი ოფისი ბრემენტის გილოთი 60მ სიგრძის და 20მ სიგანის – ამრიგად

უმარმაზარი შენობა გადააქციეს გავანგურ „ამანათად“ საფოსტო შტამპებით კუთხეებში და მიმღების მისამართებით („თეატრალური კონსერვაციის-96“) და გამგზავნი („პლასტიკური სცენა“).

პლასტიკური სცენის მიღმა მონჯიკის მოღვაწეობა არ ამოიწურება მისი მუშაობით, როგორც სცენოგრაფისა და ცლებით „პლასტიკური ავანგარდის“ აქციების სფეროში. ის ასევე არ წყვეტდა თავის მოღვაწეობას უერწერაში. მისი ნახატები, გამოირჩეოდა კომპოზიციებისაგან, რომელსაც იგი ქმნიდა სინათლითა და თავისი მოდელების ფიგურებით: – სასცენო სივრცის „მავ გილოზე“. მის უერწერაში მავი, პირიქით საერთოდ არ ყოფილა. მათში არ იყო ადგილი „არც დრამისთვის და არც ტრაგედიისათვის“. მხატვარი აქ იკმაყოფილებდა თავის მოთხოვნებს უერადოვან ინტენსივობაში, გამოსატყუარა „მგზნებარე სურვილს მიეღწია ნეტარებისათვის. გარკვეული იდილიური მდგომარეობისა. მე ვოცნებობ ამაზე – აღიარებს მონჯიკი, – მაგრამ რეალობა ქვევით გვექაჩება. ვვამიწებს, კვლავ და კვლავ. ამ კონფლიქტში რეალობასა და ჩემს მგზნებარე სურვილს შორის მიმეღწია ასეთი მდგომარეობისათვის, განსხეულებულს უერწერაში, წარმოიქმნება ჩემი თეატრი“. ამრიგად, უერწერაში მოღვაწეობა, ისევე როგორც აქციები „პლასტიკური ავანგარდის“ ჭრილში ანდა სცენოგრაფია, ასე თუ ისე დაკავშირებული იყო შემოქმედ მონჯიკთან ოცდაათხუთმეტ წელზე მეტი დროის განმავლობაში ერთი უმარმაზარი სპექტაკლით – თავისებურად ერთადერთით, რომელსაც ანალოგი არ ქონია თანამედროვე მსოფლიო თეატრში, მისტერით თემაზე წამებანი და ენებანი, განცდილი ადამიანის მიერ მის ცხოვრებისეულ ცვაზუ დაბადებიდან სიკვდილამდე.

1.
111

კომენტარები

ავილელი გერესა - (1515-1582) ნამდვილი სახელი და გვარია გერესა სანჩეს დე სეპადა-ი-ვეუმადა. ესპანელი მისტიკოსი. კარმელიტების ორდენის წარმომადგენელი. მონაზონი 1533 წლიდან. 1562 წელს მიაგოვა მონასტერი და საკუთარი სალოცაეი შექმნა, რამაც საფუძველი ჩაუყარა მკაცრ, ეგრეთწოდებულ ფესშიშველი კარმელიტების ორდენს (ასევე ხუან დე ლა კრუსის კარმელიტების ორდენს) კათოლიკური ეკლესიის მიერ კანონიზირებულია და მიკუთვნებულია ეკლესიის მასწავლებელთა რიცხვს. ესპანეთის წმინდა მუარველი. იგი ასევე მიეკუთვნება ესპანეთის „ოქროს ეპოქის“ საუკეთესო მწერალთა რიცხვს. მისი ძირითადი ნაწარმოებებია *ჩემი ცხოვრების წიგნი* (1562-66), *გმა სრულყოფილებისა* (გამოცა 1583) და სხვა.

ბაროკო - იტალ. XVI-XVIII ს-ის მხატვრული სტილი ევროპის ხელოვნებაში (განსაკუთრებით არქიტექტურაში); გამოირჩევა დეკორატიული წერილმანების სიჭარბით. ხელოვნებათმცოდნეები კლასიციზმს ხშირად მოიხსენიებენ, როგორც ბაროკოს.

ბერგმანი ინგმარ - (დაბ. 1918) შვედური თეატრისა და კინოს რეჟისორი. უდიდესი გავლენა იქონია მსოფლიო კინემატოგრაფიის განვითარებაზე. იგი სევამდა ადამიანის მარგობის, ქალისა და მამაკაცის მარადიული კონფლიქტის პრობლემას. წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა სტოკჰოლმის სამეფო თეატრ - დრამატენს. მისი ცნობილი ფილმებია: *მასხარათა საღამო*, *მეშვიდე ბეჭედი*, *მარიონეტების ცხოვრებიდან*, *სახე*, *შემოდგომის სონატა*, *ფანი და ალექსანდრე*. თეატრში იგი არა ერთხელ მიბრუნებია სტრინდბერგის დრამატურგიას.

გოგოლეუსკი ივანაი (დაბ. 1931), პოლონელი მსახიობი, რეჟისორი, სცენარისტი. მისი ერთერთი ცნობილი ფილმია *გრაფინია კოსელი* 1968.

გოთიკა - გერმ. ხეროსიმოდერული სტილი გვიან შუა საუკუნეებში ევროპაში; დამახასიათებელია მაღალ, წვეტიან ნაგებობათა სიმსუბუქე, ისრისებური თალები, გამჭვირვალე და ფერადი მინის სიუხვე და სხვა.

გროტჯერი (Grotzger) არტური (1837-67), პოლონელი ვრაუიკოსი და ფერმწერი, მისი შემოქმედება გამოირჩევა დრამატუზმით, რომანტიზმით და სიმბოლიზმით

დანტე ალიგიერი - (1265-1321) იტალიელი პოეტი, იტალიური ლიტერატურული ენის შემქმნელი. ახალგაზრდობაში დაუკავშირდა „დოლჩე სტილ ნუოვოს“ სკოლას (ბეატრიჩესადმი მიძღვნილია

სონეგები, ავტობიოგრაფიული ნაწყვეტი „ახალი ცხოვრება“ (1299); მას ეკუთვნის ფილოსოფიური და პოლიტიკური გრაქტაგები (ნადიმი დაუმთავრებელია; სახალხო მეცყველებაზე, 1304-07). დანტეს შემოქმედების მწყერვალს წარმოადგენს პოემა ღესაებრივი კომედია (1307-14) სამ ნაწილად (*ჯოჯობეთი, განსაწმენდელი, სამოთხე*) და 100 სიმღერა, შუა საუკუნეების პოეტური ენციკლოპედია. მან უდიდესი გავლენა იქონია ევროპული კულტურის განვითარებაზე. *ევმისტენცია* - ლათ. არსებობა

ექსპრესიონიზმი - ჟრანტ. მიმართულება, ხელოვნებასა და ლიტერატურაში, რომელიც წარმოიქმნა XX საუკუნის პირველ ნახევარში; მისი მიმღვერები საეიანსო ძირითად ამოცანად თველიდნენ მხატვრის შინაგანი სამყაროს, მისი სუბიექტური შემოქმედებითი განცდების ასახვას. იგი ჩნდება, როგორც პროტესტი არსებული ხელოვნებისადმი, ეყრდნობა ირაციონალურ სახეებს. ამ მიმართულების წარმომადგენლები არიან: პ. კაიზერი, ვ. პ. აზენკლევერი, ფ. ვერფელი, ო. კოკოშკო, ა. შონბერგი, ა. ბერგი, ე. ბარლახი და სხვანი. ამ მიმართულებამ საეტაპო როლი შეასრულა თეატრალური რეჟისურის, სცენოგრაფიის, განათების განვითარებაში და საერთოდ რეჟორმისტული მისია შეასრულა თეატრში.

ვაიდა (Wajda) ანჯეი - დაბ. 1926 წელს, პოლონელი რეჟისორი. მისი ფილმებია *არხი* 1957, *ფერული და აღმასი* 1957, *ფერული* 1965, *ყველაფერი გასაყიდად* 1968, *აღამიანი მარმარილოდან* 1976, *ნარკომის გარეშე* 1978, *აღამიანი რკინიდან* 1981, *დანტონი* 1983, *სახიყვარულო შემთხვევებითა ქრონიკა* 1986. მისი ფილმები პოლონეთის განვითარების ისტორიულ და საზოგადოებრივ დაპირისპირებაზეა. ბევრს მუშაობს თეატრში, მას ეკუთვნის დოსტოევსკის ნაწარმოებების საინტერესო ინტერპრეტაციები პოლონურ თეატრში.

ვასა - სანაპირო ქალაქი შვედეთში

ვიტალური - ლათ. სიცოცხლის მოვლენებთან დაკავშირებული; სასიცოცხლო

ვოლფი ჟრიდრახ - (1888-1953), ცნობილი გერმანული მწყრალი, დრამატურგი. მისი ცნობილი პიესებია: *პროფესორი მამლოკი, ფლორისდორფი, თომას მიუნცერი* და მრავალი სხვა.

ვროცლავეი - ქალაქი პოლონეთში

იკაროსი - ბერძნულ მითოლოგიაში დედალოსის შვილი, რომელიც მამასთან ერთად გაფრინდა მამის მიერ გაკეთებული ფრთებით; მამის ღარიგების მიუხედავად იგი ძალიან მიუახლოვდა მშეს, სანთელი,

რომლითაც ფრთხილი პქონდა მიმაგრებული, დადნა და თვითონ ზღვაში ჩაეარდა.

ინსტალაცია - ინგლ. - დაყენება, დამონგაყება - სხედასხვა ელემენტებისაგან - ყოფისი ნივთებისაგან, სამრეწველო ნაწარმისაგან და მასალებისაგან, ბუნებრივი ობიექტებისაგან, ტექსტური ანდა ვიზუალური ინფორმაციისაგან - მხატვრის მიერ შექმნილი სივრცითი კომპოზიცია.

ინსტალაციის ფუძემდებლები იყენენ დადაისტი მ. დიუშანი და სიურეალისტები. ჩვეულებრივი ნივთებით ქმნის რა უჩვეულო სანწყობას მხატვარი მათ აძლევს ახალ სიმბოლურ აზრს. ინსტალაციის ესთეტიკური მინაარსი აზრობრივ მნიშვნელობათა თამამშია, რომელნიც იცვლებიან იმასთან კავშირში, თუ სად მდებარეობს ნივთი - მის ჩვეულ ყოფით გარემოში, თუ საგამოყენო დარბაზში.

ინსტალაციებს ქმნიდა ავანგარდის მრავალი მხატვარი: რ. რაუშენბერგი, დ. დანინი, გ. იუკერი და მრავალი სხვა. ინსტალაცია ხელოვნების ფორმაა, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული XX საუკუნეში და გრძელდება დღემდე.

ინფანტილიზმი - ლათ. ორგანიზმის განვითარების მეტ-ნაკლები ჩამორჩენა; ადამიანის ფიზიკური ან ფსიქიკური განვითარების შეჩერება ბავშვობის საფეხურზე.

კანტორი ტადეუშ - (1915-1990), პოლონელი რეჟისორი, სცენოგრაფი, თეატრალური მოღვაწე. ნაციტური ოკუპაციის დროს შექმნა დამოუკიდებელი თეატრი. 1946-50 ცხოვრობდა საფრანგეთში. 1956 წლიდან თანამშრომლობდა პოლონეთის მრავალ თეატრთან. ცნობილია როგორც თეატრალური ექსპერიმენტატორი, თეორეტიკოსი, მხატვრის თეატრის ფუძემდებელი. ცხოვრების ბოლო წლებში მოღვაწეობდა კრაკოვეში, სადაც შექმნა თეატრი კრიკო. მისი ცნობილი სპექტაკლია „მკვდარი კლასი“, იგი ძალიან დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა როგორც პოლონეთში ასევე მსოფლიო თეატრალურ სამყაროში. იგი ამკვიდრებს ახალ თეატრალურ ფორმას, იყენებდა მანეკენებსა და თოჯინებს. მისი ცნობილი თეატრალური გრაქტაგი-მანიფესტია „სიკვდილის თეატრი“.

კარმელიტები - კათოლიკური ეკლესიის ერთერთი ორდენი, რომელსაც თავი შემწეობით გაქონდა, ჩამოყალიბდა XII საუკუნის მეორე ნახევარში პალესტინაში. XIII საუკუნეში დასავლეთ ევროპაში გადავიდა.

კაჩმარეკი იან - (დაბ. 1953) ცნობილი პოლონელი კომპოზიტორი, მრავალი კინოფილმის მუსიკის ავტორი. მან მიიღო იურისტის განათლება. მისმა ძიებებმა იგი მიიყვანეს გროტოვსკის ავანგარდულ

თეატრალურ ლაბორატორიაში. კომპოზიტორის კარიერა დაიწყო, როგორც ავანგარდული სპექტაკლების მუსიკის ავტორმა *მერვე დღის თეატრში*. მოგვიანებით ქმნის *მერვე დღის* ორკესტრს, რომლითაც მოგზაურობს ევროპაში, შემდეგ კი ამერიკაში, სადაც რჩება კიდეც საცხოვრებლად.

ამჟამად ცხოვრობს ლოს ანჯელესში და მუშაობს ჰოლივუდში. 2005 წელს მან მიიღო ოსკარი მუსიკაში ფილმისათვის „ჯადოსნური ქვეყანა“ (*"Finding Newerland"*).

კომპოსტი – ინგლ. ორგანული სასუქი, რომელსაც იღებენ გორვისა და სხვადასხვა ნარჩენების ერთმანეთში შერევით, აგრიკულურ კირის, ნაერისა და მისით. დამატებით.

კრაკოვი – ქალაქი პოლონეთში

კრეგი (Craig) ჯენრი ედუარდ გორდონი - (1872-1966), ინგლისელი რეჟისორი, მხატვარი და თეატრის თეორეტიკოსი. ცნობილი ბრიტანელი მსახიობის ელენ ტურის ვაჟი. კრეგი სცენაზე გამოდიოდა 1889 წლიდან. სპექტაკლებს ღვაძლავ ბერლინში, ფლორენციაში, მოსკოვში - 1911 წელს სამხატვრო თეატრში ანხორციელებდა შექსპირის ჰამლეტს სტანისლავსკისთან, სულერეიციკისთან და კოტე მარჯანიშვილთან ერთად. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ეს სპექტაკლი საბოლოოდ კოტე მარჯანიშვილმა დაასრულა. გორდონ კრეგმა გამოიგონა თეატრის სისტემა, რომელიც იოლად გარდაიქმნებოდა და ცვლიდა თეატრალურ სიურცეს. ამკვიდრებდა სარეჟისორო თეატრს, „ზე მარიონეტის“ კონცეფციას, რაც ითვალისწინებდა „მსახიობ პოეტის“ შემოქმედებას, სარეჟისორო ჩანაფიქრის მკაცრ ჩარჩოებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მისმა კონცეფციამ ზემოქმედება შეახებ უდიდესი გავლენა იქონია რეჟისორთა მრავალ თაობაზე.

კრიკოტეკა - კანტორის მიერ შექმნილი ცენტრი კრაკოვში. კანტორი ყოველთვის ზრუნავდა თავის „თეატრალურ ობიექტებზე – რეკვიზიტი, დეკორაციები, ესკიზები, რასაც ავსებდა და ინახავდა. სწორედ ამ მიზნით 1980 წელს მის მიერ იქნა შექმნილი კრიკოტეკა. და მიუხედავად იმისა, რომ კანტორის გარდაცვალებიდან 15 წელზე მეტია გასული ეს ცენტრი კვლავ ავრძელებს ფუნქციონირებას. www.cricoteka.com.pl

კრიპტები – ძველ რომში მიწისქვეშა ნაგებობა, დასავლეთ ევროპაში შუასაუკუნეების დროს სამრეკლოს ან ტაძრის ქვეშა ნაგებობა, რომელსაც იყენებდნენ, როგორც სასაფლაოს, საძვალეს და კრძალებსათვის.

კრუსი ხუან დე ლა - (1542-1591) საერო ცხოვრებაში ხუან დე ეპეს-ი- ალვარესი, ესპანელი მისტიკოსი და ქრისტიანი მწერალი, პოეტი, „ექსტატიკურ დოქტორად“ წოდებული. წმინდა გერესა ავილიელთან ერთად მოახდინა კარმელიტების მონაზონთა ორდენის რეფორმირება. ნაწარმოებებია: *ქალაქ კარმელში მესხლა, სულის მისტიკური ღამე*, რომის კათოლიკური ეკლესიის მიერ შერაცხულია წმინდანად და აღიარებული ეკლესიის მასწავლებლად. KUL- ლუბლინის კათოლიკური უნივერსიტეტი

ლეონარდო და ეინში - (1452-1519) იტალიური მაღალი აღორძინების წარმომადგენელი, მხატვარი, მოქანდაკე, არქიტექტორი, მეცნიერი, ინჟინერი. ახალი გექნოლოგიების შემქმნელი და გამოგონებელი. მრავალი ფერწერული შედეგის ავტორი: *საიდუმლო სერობა, მონა ლიზა* (ჯოკონდა). მან მრავალი მეცნიერული აღმოჩენა დაუტოვა ცივილიზაციას, მისი სამეცნიერო მემკვიდრეობა 7 ათას გვერდს მოიცავს.

მეტაფიზიკა - შემეცნების მეთოდი, რომელიც, დიალექტიკისაგან განსხვავებით, მოვლენებს განიხილავს ერთმანეთისაგან მოწყვეტით, დამოუკიდებლად, როგორც ერთხელ და სამუდამოდ მოცემულთ, უარყოფს საგნებისა და მოვლენების შინაგან წინააღმდეგობას. როგორც ფილოსოფიური მოძღვრება განიხილავს ცდის მიღმურ მოვლენებს - ღმერთის, სულს - ანუ უმბიკის შემდეგ, როგორც ტერმინი აღმოცენდა ძვ.წ. 1 ს-ში, როგორც არისტოტელეს ფილოსოფიური მემკვიდრეობის ნაწილის აღმნიშვნელია. ფილოსოფიური სწავლება ყოფიერების მე ვრძნობით პრინციპებზე დიალექტიკური ფილოსოფიის საწინააღმდეგო მეთოდია.

მისტიციზმი - განწყობილება და სწავლება, რომელიც გამომდინარეობს იქიდან, რომ სამღვდილი რეალობა მიუწვდომელია გონებისათვის და მიიღწევა ინტუიციურ - ექსტატიკური ხერხით, რომელიც გათვალისწინებულია მისტიკაში. როგორც ფილოსოფიური დოქტრინა - ინტუიტივიზმისა და ირაციონალიზმის ნაირსახეობა.

მიქელანჯელო ბუნაროტი - (1475-1564) იტალიელი მოქანდაკე, ფერმწერი, არქიტექტორი, პოეტი. იტალიური მაღალი აღორძინების თვალსაჩინო წარმომადგენელი. მისი ხელოვნებისათვის დამახასიათებელია მონუმენტურობა, დრამატიზმი, პლასტიკურობა და ადამიანის სილამაზის თაყვანისცემა. მან მრავალი შედეგით დაუტოვა კაცობრიობას მისი ცნობილი ქანდაკებების სახით. ერთერთი მისი უნიკალური ქმნილებაა წმინდა პეტრეს ტაძარი ვატიკანში, რომლის მშენებლობასაც იგი ხელმძღვანელობდა 1546 წლიდან.

მოლიერი - (ნამდვილი სახელი და გვარია **ჟან ბატისტ პოკლენი** 1622-1673), ფრანგი კომედიოგრაფი, მსახიობი და თეატრალური მოღვაწე, სასცენო ხელოვნების რეფორმატორი. მსახურობდა მეფე ლუდოვიკ XIV კარზე, ეყრდნობოდა რა ფრანგულ კლასიციზმს, შექმნა და განაეითარა სოციალურ-ყოფითი კომედია, რომელშიაც შერწყმული იყო ბუფონადა. იუმორი და დახვეწილი არტისტიკა. მისი ცნობილი პიესებია: *დონ ჟუანი*, *მიზანტროპი*, *ძუნწი*, *გაამზანურებული მდაბიო*, *ძალად ექიმი*, *ტარტიუფი*, *ვერსალის ექსპრომტი* და მრავალი სხვა. *დონ ჟუანი*თა და *მიზანტროპით* მან სერიოზული ფილოსოფიური პრობლემები დასვა თავის დრამატურგიაში. ქმნიდა გვიანი აღორძინების მაღალ კომედიას და გიჟურ ხასიათთა ოსტატად ჩამოყალიბდა. მოლიერმა უზარმაზარი გავლენა იქონია მსოფლიო თეატრის განვითარებაზე.

ნოვოსელსკი ეკი - ერთერთი ყველაზე ცნობილი პოლონელი მხატვარი, ხატმწერი, ახალ რუბლოვად მონათლული.

ნორვიდი ეიპრიან კამილი - (1821-1883) პოლონელი მწერალი, მხატვარი, მოქანდაკე. ინტელექტუალურ-ასოციაციური ლირიკის წარმომადგენელი. მის კალამს ეკუთვნის ფილოსოფიური პოემები და ტრაგედიები.

პარადიგმა - ბერძ. მაგალითი. ნიმუში - ამოსავალი კონსექტუალური სქემა, საკითხის და პრობლემის დასმის და გადაწყვეტის მოდელი. ენათმეცნიერებაში ერთი სიტყვის, ფორმის სისტემა, რომელიც სიტყვის გრამატიკულ ცვლილებებს ითვალისწინებს. მას ხშირად ვაყილებით ფართო ფილოსოფიურ განზოგადებული დაგვირთვაც უნიჭება.

პარკა - პარკები. რომაულ მითოლოგიაში ბედისწერის სამი ქალღმერთი, ბერძნული მიორების გოლფასი. *ნონა* და *დეციმა* (ბავშვის დაბადების მფარველები მეცხრე ან მეათე თვეზე), *მორტა* (სახელი წარმოქმნილია სიტყვა სიკვდილიდან. ისინი ქსოვდნენ და ჳრიდნენ ადამიანის ცხოვრების ბედს.)

პერფორმანსი - ფრანგ. სიტყვა სიტყვით - წარმოდგენა. პერფორმანსი, ანდა პერფორმენს არტი, გამოხატვა, რომელიც ფრანგული ენიდან შეიძლება ვთარგმნოთ, როგორც „ვიზუალური ხელოვნების თეატრი“ - წარმოიქმნა 60-იან წლებში (მისი გამორჩევა პუფენინგისაგან არც თუ ისე იოლია; მასზე გავლენა მოახდინა კომპოზიტორ ჯონ კეიჯის, ქორეოგრაფ მერსი კანინჰემის, ვიდლოს სპეციალისტ ნეიმ ჯონ პარკის, მოქანდაკე ალან კეპროუს ნაწარმოებებმა). მხოლოდ 80-იან წლებში მიაღწია ამ ფორმამ თავის სიმწიფეს.

პერფორმანსი აერთიანებს, როგორც თანაბარულეზიან განსხვავებულ ვიზუალურ ხელოვნებას, თეატრს, ცეკვას, მუსიკას, ვიდეოს, პოეზიას და კინოს. მოქმედება ვითარდება არა თეატრში, არამედ მუზეუმებში ანდა სამხატვრო გალერეებში. ეს ვახლავთ „კალეიდოსკოპიური მრავალთემიანი დისკურსი“ (ა. ვერგი).

პერფორმანსში ხაზგასმულია უმეტესწილად თავად შემოქმედების პროცესი, ვიდრე ხელოვნების ნაწარმოების სრულქმნილება. „პერფორმანსში“ არ არის აუცილებელი, რომ იყოს მსახიობი, რომელიც თამაშობს როლს, სამაგიეროდ იგი მორიგეობით ხდება მთხრობელი, მხატვარი, მოცეკვავე, აუცილებელია მისი პიროვნული არსებობა, სცენიურ ავტობიოგრაფიად, რომელსაც პირდაპირი კავშირი აქვს წარმოდგენილ ობიექტებთან და მოთხრობილ რიტუალებთან. „პერფორმანს არტი“ მუდმივად იქმნება მხატვრების მიერ, რომელთა ფუნქციები მრავალმრიანი: საკუთარი იდეებისა და ასოციაციებისათვის თავისუფალი მსვლელობის მიცემა, რაც ერთის მხრივ დაკავშირებულია თეატრთან, მეორეს მხრივ კი, ქანდაკებასთან, ისინი უფრო დად ყურადღებას უთმობენ სპექტაკლის სიცოცხლისუნარიანობას და შემოქმედების ძალას, ვიდრე თეატრიული განსაზღვრების სისწორეს, რასაც იმ მომენტში აკეთებენ. პერფორმანს არტი, კერძოდ არაფერს არ ნიშნავს“ (ჯეფ ნათლი). ანდრეა ნურიუს გამოქვეყნებულ სტატიამი გამოყოფილია პერფორმანსის სუთი ტენდენცია:

1) ბოდი არტი (პლასტიკის ხელოვნება) იყენებს პერფორმანსის სხეულს, რათა იგი განსაცდელში ჩაავდოს (ვ. აკონსი, ჩ. ბიორდნი, დ. პუინი), რათა იგი გამოჟინოს საჩვენებლად ან გაანალიზოს მისი სახება.

2) სივრცისა და დროის შესწავლა ფიგურათა შენელებული გადაადგილებით, როგორც „Working in an Exaggerated Manner Around the perimeter of a Square“ (1968) რინკე.

3) ავტობიოგრაფიული წარმოდგენა, რომელშიც ხელოვანი მოგვითხრობს საკუთარი ცხოვრების რეალურ მოვლენათა შესახებ (ლ. მონტანო, მიტჩელის სიკვდილი: ანდა სპილდინგ გრეი, A personal History of the American Theatre, 1980).

4) რიტუალური და მითოლოგიური ცერემონიული, მაგალითად ნიქსის „ორჯიები და მისტერაიბი“.

5) სოციალური კომენტარები, თანამედროვე მითოლოგიაზე, როგორც ამას წარმოგვიდგენს ვიდეო მხატვარი ბობ ეშლი ანდა ლორი ანდერსონი თავის „შეერთებული შტატები I და II (1979-1982)“ რომელშიც ერთმანეთშია შერწყმული პოეზია, ელიტარული მუსიკა, კინო და დიპლომატიები. (პატრის პავის, თეატრალური ლექსიკონის მიხედვით, გვ. 233).

პინაკოთეკა - ბერძ. ძველ საბერძნეთში: ფერწერულ ნაწარმოებთა საცავი, სურათების გალერეა.

ჟაკარდული - ქსოვილი - მსხვილ სახეობიანი ქსოვილი, საქსოვი მანქანის გამოგონებლის ფრანგი მექანიკოსის ჟაკარდის (Jacquard, 1752-1834) სახელის მიხედვით

საკრალური - ლათ. წმინდა, რელიგიურ კულტიან და რიტუალთან დაკავშირებული.

სოფოკლე - (დაახლ. 496-406 ძვ. წ.) - ძველი ბერძენი პოეტიკ-დრამატურგი, ერთერთი უდიდესი წარმომადგენელი ანტიკური გრავედიისა. შემოქმედებითა და ისტორიული ბიოგრაფიით ადგილს იმკვიდრებს ესქილესა და ევრიპიდეს შორის. მისი მთავარი მისწრაფება იყო ახლისა და ძველის გაწონასწორება და ამავე დროს, საუცხოო მაგალითის, იდეალის შექმნა. იგი აღიძვებდა თავისუფალი ადამიანის სიძლიერეს და არიღებდა მას „ღვთიური კანონების“ დარღვევას ანუ რელიგიურ და სამოქალაქო ცხოვრებისეულ ნორმებს. ართულებდა რა უსიქოლოგიურ ხასიათებს, ინარჩუნებდა გმირისა და კომპოზიციის საერთო მონუმენტურობას. იყენებდა მითოლოგიას და მთავარ თემად კვლავ ბუდისწერა რჩებოდა, როგორც გარდაუვალი აუცილებლობა. ჩვენამდე მოაღწია სოფოკლეს მხოლოდ შეიღმა პიესამ. მისი ცნობილი პიესებია: *ოიდიპოს მეფე*, *ანტიგონე*, *ელექტრა*, *ფილოკლეტა* და სხვა. მისი პიესები ოცდახუთი საუკუნის შემდეგაც ინარჩუნებენ თავის ადგილს თანამედროვე თეატრის რეპერტუარში.

სპორადულობა - ბერძ. დაბნეული, ცალკეული - ერთეული, შემთხვევითი, შემთხვევიდან შემთხვევამდე.

სტოქოლმი - შვედეთის სამეფოს დედაქალაქი

გორმესი ალბა დე - კათოლიკური მონასტერი ესპანეთში

გრანსცენდენტალური - ლათ. რაც საზღვარს სცილდება. ფილოსოფიაში ცდის გარეშე არსებული, განყენებულ-ლოგიკური. კანტის ფილოსოფიაში: რაც დაფუძნებულია შემეცნების აპრიორული, ცდისაგან დამოუკიდებელი ფორმების აღიარებაზე.

ჟულიო კორე - (1862-1921), ფრანგი კომედიოგრაფი, ავტორი 60-ზე მეტი უარსისა და მსუბუქი კომედიისა, რომელსაც დიდი წარმატებით დგამდნენ საფრანგეთში, კომედი ფრანსეზსა და საზღვარგარეთაც. ცნობილი პიესებია: *გოგო მაქსიმისაგან* (1899), *საყურე* (1907), *ჩემი დაგვიანებული სიდედრი*, *მიხედეთი ლულუს* (1908).

ჟრიში - ფრანგ. ანტაბლემენტის შუა ნაწილი (არქიტავერსა და კარნიშს შორის); კომპილი. არშია, ბორდიური კედლისა, ხალიჩისა, პარკეტისა.

შინა იუზეფ – (დაბ. 1922), პოლონელი მხატვარი, სცენოგრაფი, რეჟისორი. იყო ოსვენცემისა და ბუჰენვალდის საკონცენტრაციო ბანაკების პატიმარი. მუშაობდა პოლონეთის თეატრებში: ლულოვა (ნოვა-გუტა), სტარი (კრაკოვი), შლიონსკი (კატოვიცა) და ა.შ. 1971-1972 წლებში იყო დარეჟორი თეატრ კლასონის (ვარშავა), რომელიც გარდაიქმნა ხელოვნების ცენტრად და იგი ხელმძღვანელობდა 1982 წლამდე. იგი არის მხატვრის თეატრის ერთერთი უუძემძებელი კანტორიდან ერთად. მისი ხელოვნება ყოველთვის ახლოს იყო აუანგარდთან. მისი ცნობილი სპექტაკლებია: რეპლიკა, დანტე, მეტამორფოზები.

შაპოშნიკოვა ალინა (1926-1973), პოლონელი მხატვარი, მოქანდაკე. იყო ერთერთი პირველი ევროპელი მხატვარი, რომელმაც სითამამით მიმართა სხეულისეულ სასოწარკვეთის პრობლემას, დაარღვია რა ყველანაირი ტაბუ. ცხოვრების ბოლო ათი წელი მხატვარმა საფრანგეთში გაატარა. იგი არ ერიდებოდა ტექნიკურ ექსპერიმენტებს, უყვარდა ისეთი მასალების გამოყენება, როგორცაა ცემენტი, რკინის ბურბუშეა, სხვადასხვა ფერის ქვები, ფისი, რის გამოც იგი კრიტიკოსებმა „ახალ რეალიზმს“ მიაკუთვნეს. მისი ყველაზე შთაბეჭდავი ნამუშევრებია პოლიესტერისაგან, რომლებშიც გამოიყენა თაბამირისაგან ჩამოსხმული ადამიანის სხეულის ნაწილები.

მერსტერგი – საერთაშორისო ახალგაზრდული საგანმანათლებლო ცენტრი გერმანიაში.

მუმანი პიტერი – (დაბ. 1934) გერმანული წარმოშობის ამერიკელი მხატვარი და თეატრალური რეჟისორი. დაიბადა სილეშიაში, დაამთავრა პანოვერის სამხატვრო სკოლის ქანდაკების განყოფილება. ჯერ კიდევ მაშინ განსაზღვრა თავისთვის ინტერესი „გაცოცხლებული ქანდაკებებისადმი“. იგი აერსიებდა ქანდაკებასა და მოძრაობის ხელოვნებას, ამ პერიოდში ცდილობდა საკუთარი საცქეპაო დასის შექმნას. მას აინტერესებდა „ღარიბი ხელოვნება“. მან თავისი ხელოვნებისათვის აირჩია ყველაზე იაფი მასალა: თიხა, თაბამირი, პაპიე მაში. „ხელოვნება პურია, ხელოვნება ხელმისაწვდომი უნდა იყოს, ისევე როგორც პური“ არაერთხელ იმეორებდა მუმანი. 1963 წელს მიუნხენში იწყებს თავის ექსპერიმენტულ პერფორმანსებს და სპექტაკლებს „გაცოცხლებული ქანდაკებების“ მკრე, კი ვადადის ამერიკაში და ქმნის თავის თეატრს „პური და სოჯინა,“ (Bread and Puppet). პურს მუმანისთვის არა მხოლოდ სიმბოლური არამედ სარიტუალო მნიშვნელობაც ქონდა. მისი სპექტაკლები მთავრდებოდა რიტუალით მაყურებლისათვის სხვადასხვანაირი ორცხობილების დარიტებით, რომელსაც იგი თავად

აცხობდა დედისაგან მიღებული ძველებური რეცეპტით. იგი საფუძვლად იღებდა აღმოსავლური თეატრის ფოლკლორულ გრადიციებს განსაკუთრებით იაპონურ ნოსა და ბურაკუს, ასევე გერმანული შუასაუკუნეების ხისა და ქვის ქანდაკებებს, ექსპრესიულ ვრაჟიკასა და დადაიზმს. მისი ძირითადი პერსონაჟები ნიღბებია, სხვადასხვა გიჟისა და უზარმაზარი ზომების. მათ ამოძრავებდნენ და ახმოვანებდნენ მსახიობი-შემსრულებლები. ნიღბებს განსაკუთრებული ექსპრესიული გარეგნობა ქონდათ, ისინი ერწყმოდნენ შემსრულებლებს. აღამიანთან კონტრასტისათვის იყენებდა უკვე პატარა ზომის თოჯინებს. მის სპექტაკლში გამოჩნდა უზარმაზარი ზომის ნიღბები, რომელსაც სპეციალური ჭოკებით მართავდნენ... ეს უზარმაზარი არსებები გამოხატავდნენ, როგორც მითოლოგიურ, ასევე ბიბლიურ პერსონაჟებს, ჰიპერბოლიზირებულ სოციალურ გიჟებს. იგი ასევე წარმოადგენს მხატვრის თეატრის სახეობას, ქმნის რა თავის განუმეორებელ სამყაროს, რითაც მან სერიოზული გავლენა მოახდინა სათეატრო კულტურის განვითარებაზე მსოფლიოში.

ჩეხოვი ანტონ – (1860-1904), რუსი მწერალი დრამატურგი. დიდი გავლენა იქონია მსოფლიო ლიტერატურისა და თეატრის განვითარებაზე.

ხორონი – დასავლურ სემიგურ მითოლოგიაში სამეფო ძალაუფლების დამცველი ღმერთი, ეგვიპტურ წყაროებზე დაყრდნობით, როგორც ჩანს იგი საიქიოს ღვთაებაა.

პამბურგი – საპორტო ქალაქი გერმანიაში

პეუინინგი – ინგლ. – მოხდენა, მიმდინარე. თეატრალური მოღვაწეობის ფორმა, რომლის დროსაც არ გამოიყენება ტექსტი ანდა წინასწარ მიწოდებული პროგრამა (უმეტესწილად სცენარი ან „მეთოდი“), რომელიც რაიმეს გეთაუბობს, წოდებული მოვლენად (ბრეხტი) ანდა ქმედებით (ბეოი) ანდა პროცედურით, ან მოქმედებით, ან შემოთავაზებული და შესრულებული მსახიობების ანდა სხვა მონაწილეთა მიერ, რომლებიც იყენებენ: შემთხვევითობას, გაუსვალისწინებლობას, გარკვეულწილად რისკს (არ იგულისხმება გარეგნული ქმედების იმიტაცია), ამბების მოყოლას, გარკვეული მნიშვნელობის შექმნა ხელოვნების ყველა სახეობისა და ყველა ტექნიკური საშუალებების და ასევე გარე სამყაროს გამოყენებით. გაერყელებული მოსაზრების საწინააღმდეგოდ აქ არაყერი საერსო არ არის უწყსრივი ანდა კათარმისულ მოღვაწეობასთან; უფრო ბუსტად უნდა ვისაუბროს in act-ს შესახებ - თეორიული განსჯის გამომსახველობითი და წარმოებითი ამრით წინასწარ განსაზღვრული გარესამყაროს ჩარჩოებში. როგორც წერს მაიკლ

კორბი, ჰეფენინგების ერთერთი საუკეთესო თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი, ეს „საკიციფიურად გამომუშავებული თეატრალიზებული ფორმაა, რომელშიც შერწყმულია სხედასხვა ელემენტები. კერძოდ კი წინასწარ განუსაზღვრელი თამაშის მანერა, ორგანიზებულია ერთიან სტრუქტურაში და დაყოფილია ნაწილებად (Kirby, M. Happenings – An illustrated Anthology, Dutton, New York, 1965, p.21). ჰეფენინგი წარმოიქმნა უშუალოდ, როგორც ხელოვანთა მთელი რიგი ძიებანი. ჯონ კეიჯა (კონცერტის ორგანიზატორი, რომელიც შედგა 1952 წელს, რომლის დროსაც გამოყენებული იყო რაუმენბერგის ფერწერა, მერსი კანინკემის ქორეოგრაფია, ოლსენის პოეზია, ჰიანისტ გიულორის მესრულება) საფუძველი ჩაუყარა ასოციაციითა ხელოვნებას. მსგავსი მაგალითებია: იაპონური ჯგუფი პუთაი (1955); მოქანდაკეები: ოლდენბურგი, კერბიდა კეპროუ (1959); ევროპაში ბეიოი; body art (სხეულის ხელოვნება) მიმდევრები; დ. პეინი, მ. ჟურნიაკი, გ. ნითში. ჰეფენინგი თავის გაგრძელებას პოულობს „უხილავ თეატრში“ ანდა პერფორმანსებში. ამჟამად იგი აღარ სარგებლობს ისეთივე პოპულარობით, როგორც 60-იან წლებში (პატრის პავის თეატრალური ლექსიკონის მიხედვით, გვ. 424).

პოლბენი კანს - (1497 ან 1498-1543) გერმანელი ფერმწერი და გრაფიკოსი, ალორძინების წარმომადგენელი. სახასიათო პორტრეტებისა და რელიგიურ თემებზე შექმნილი გრაფიკების ავტორი. დამახასიათებელია რეალიზმი, სიმკვეთრე, რენესანსული ბრწყინვალება, მონუმენტალური სიმთელე კომპოზიციისა.

პორულიფა - ყრანგ. სკულპტურლი გამოსახულება, რომელიც ამობურცულია ბრტყელ ზედაპირზე თავისი საეარაულო მოცულობის ნახეარზე მეტად.

- Teatr bezsłownej prawdy. pod redakcja Wojciecha Chudego. lublin, 1990
Life towards death. Lublin, 1991
Leszek Madzik. Honorowy obywatel miastna Kielc. 1998
Leszek madzik. Scena Plastyczna KUL. Lublin, 2000
Leszek Madzik I jego teatr. Warszawa, 2000
Mandzik, Leszek, My Theatre. Lublin, 2000
Piotr Gruszczynski, THE NINTIES IN POLISH "EXPLORATORY"
THEATRE, essays on polish culture theatre, www.polishculture.pl)
Teatr Bezslownej prawdy. "Scena Plastyczna" Katolickiego Uniwersytetu
Lubelskiego. Lublin. 1990
Березкин, Виктор Театр, которого у нас нет.\\ Театральная жизнь, 2000, 8
Березкин, Виктор «Покров».\\ Сцена № 17
В. И. Березкин, Театр Художника.\\ Театр XX века. Закономерности
развития. М., 2003. С. 617-622
Березкин, Виктор Польский Театр Художника. М., 2004
ხეათაგური ლევანი, ნახატებიო მთაზროვნე პოლონელი
რეჟისორი.\\ გაზეთი კულტურა № 9 (26),2006

წიგნის ავტორის შესახებ

ლევან ხეთაგური – თეატრმცოდნე, თეატრის კრიტიკოსი, ისტორიკოსი და თეორეტიკოსი. ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი. თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტის ITI საქართველოს ბიუროს გენერალური მდივანი, ევროპის თეატრალური კვლევის ინსტიტუტის ETRI საქართველოს წარმომადგენლობის დირექტორი, თეატრის მკვლევართა საერთაშორისო ასოციაციის FIRT წევრი, შვედეთის მწერალთა ვილდის პრემიის ლაურეატი, მრავალი საერთაშორისო ქსელის და ორგანიზაციის მრჩეველთა საბჭოს წევრი. სამოცზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა და პუბლიკაციის ავტორი. ევროპისა და აზიის მრავალი უნივერსიტეტის მიწვეული პროფესორი. მონაწილეობს, როგორც მონაწილე და როგორც ორგანიზატორი მრავალ საერთაშორისო ფესტივალში, სიმპოზიუმზე და კონფერენციაში.

თეატრის ისტორიასთან პარალელურად მუშაობს კულტურის პოლიტიკისა და მენეჯმენტის საკითხებში, არის ENCATC წევრი, არის თრეინინგებისა და ვორკშოპების ორგანიზატორი და კურსების ხელმძღვანელი მრავალ ქვეყანაში.

სარჩევი

ნახატებით მოაზროვნე პოლიონელი რევისორი	
ლეეან ხეთაგური -----	3
ლეშეკ მონჯიკი - ვუიქრობ სურათებით -----	9
შენიშვნები საკუთარ შემოქმედებაზე -----	13
თეატრი ავტოპორტრეტით სიღრმეში -----	18
სცენოგრაფია -----	34
თეატრალური სახელოსნოები -----	35
ყურწერა და ფოტოგრაფია -----	37
აღამიანები -----	38
შაპოშნიკოვა -----	38
ნოვოსელსკი -----	39
კანგორი -----	39
ლუონარდო და ვინჩი -----	40
ხუან დე ლა კრუსი და გერესა ავილელი -----	41
ეს დრო სულ უფრო მცირე და მცირე -----	42
ლეშეკ მონჯიკის ვიზუალური თეატრი - სცენა პლასტიკა -----	45
დასაწყისი. სამი სპექტაკლი ქრისტიანულ მითოლოგიაზე-	
სახარების სიუჟეტზე -----	50
ვიზუალურ-პლასტიკური მისტერიები -----	56
ბოტკოები -----	56
იკაროსი -----	58
დადი -----	60
პერბარიუმი -----	62
ტენი -----	66
ხეტიალი -----	69
ნაპირი -----	72
აბლაბუდაში ვაბმა -----	74
კარიბჭე -----	77
სუნსიქვა -----	81
ხერული -----	83
სამკლოვიარო გადასაფარებელი -----	85
Calum (სუდარა) -----	87
სცენოგრაფიული ნამუშევრები. აქციები, პერფორმანსები -----	90
კომენტარები -----	99
ლიტერატურა -----	110
წიგნის ავტორის შესახებ -----	111